

შპს BHH

2024 წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

3

2024 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

4

2024 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

5

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო
2. მომზადების საფუძველი
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა
4. შემოსავალი
5. სხვა ხარჯები
6. ძირითადი საშუალებები
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
10. გადასახადები
11. კაპიტალი
12. მარაგები
13. ფინანსური ხარჯები
14. ფინანსური შემოსავლები
15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა
16. დაკავშირებული მხარეები
17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები
 - (ა) შემოსავალი
 - (ბ) სხვა ხარჯები
 - (გ) მარაგები
 - (დ) ძირითადი საშუალებები
 - (ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
 - (ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/12/2024	01/01/2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	(6)	18561	30,065
არამატერიალური აქტივები	(6)		46
სულ გრძელვადიანი აქტივები			30,111
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(7)	1180009	1,290,743
ფული და ფულის ეკვივალენტები	(9)	5488	42,140
მარაგები	(12)	26426	31,056
სულ მიმდინარე აქტივები		1230484	1,363,939
სულ აქტივები		1230484	1,394,050
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	(11)	48008	48,008
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება		267085	443,797
სულ საკუთარი კაპიტალი		315093	491,805
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები		0	902,245
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		0	902,245
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხი პარტნიორებისგან			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(8)	915391	902,245
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	(10)		-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		915391	902,245
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1230484	1,394,050

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს დადგენილი სახელით ხელს აწერს



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებითი შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

2024 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	(4)	1071145	1,726,641
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-645841	(960,963)
საერთო მოგება		425304	765,678
მარაგების გაუფასურების ხარჯი		-25784	
საპროცენტო ხარჯები		-4046	(6,622)
დასაქმებულთა ანაზღაურება		-313463	(621,934)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6)	-11550	(18,488)
პრეპარატის სარეგისტრაციო მომსახურება		-5370	(1,694)
იჯარის ხარჯი		-49051	(48,490)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		-1454	(30,055)
რეკლამის ხარჯები		-5000	(25,639)
საწვავის ხარჯი		10606	(15,678)
კომუნიკაციის ხარჯი		-5932	(5,753)
კომუნალური მომსახურების ხარჯი		-5179	(6,278)
დაზღვევის ხარჯი		-2694	(2,075)
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი		-18000	(21,240)
საკონსულტაციო ხარჯები		-7960	(7,599)
სადისტრიბუციო მომსახურება		-49850	(62,596)
მივლინების ხარჯი		-2470	(7,0458)
სხვა ხარჯები	(5)	-111521	(389,556)
საოპერაციო მოგება		-183414	(1,129,816)
ფინანსური ხარჯი	(13)	-28718	(14,186)
ფინანსური შემოსავალი	(14)	35420	10,427
მოგება დაბეგვრამდე		-176712	(1,133,575)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-176712	(1,133,575)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს და მისი სახელით ხელს აწერს:

ალექსანდრე მაყეიძე

დირექტორი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

2024 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
წმინდა მოგება ("ხარალი") 2023 წლის 1 იანვარი		(1,133,575)	(1,133,575)
გაცემული დივიდენდები		(105,263)	(105,263)
2023 წლის 31 დეკემბერი	48,008	443,797	491,805
წმინდა მოგება ("ხარალი") 2024 წლის 1 იანვარი	491805	-176712	315093
გაცემული დივიდენდები		0	
2024 წლის 31 დეკემბერი	48008	267085	315093

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს და მისი სახელით ხელს აწერს:

აღსაკარგმახედოვი

დირექტორი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება BII რეგისტრირებული არის "შეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2012 წლის 7 სექტემბერს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ოცხელის ქ. #24 ბ-42. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 406075900

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის „საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით“(46460);

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
ილგარ ვალიევი	100 %	100 %;

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	1,071,145	1,726,641
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		0
სულ შემოსავალი	1,071,145	1,726,641

5. სხვა ხარჯები

ლარი	2024 წ.	2023 წ.
ბანკის საკომისიო	0	6,560
ავტომობილის შენახვის ხარჯები	19590	3393
ვიზიტის ხარჯი კლინიკაში	5617	20,560
სხვა საგადასახადო ხარჯი	25630	55,450
ოფისის სხვადასხვა ხარჯი	2940	62,485
სხვა ადმინისტრაციის ხარჯი	30690	15,697
დასაბეგრი მომსახურების ხარჯი	3100	72,267
იურიდიული მომსახურების ხარჯი	3112	13,271
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	20842	139,873
სულ სხვა ხარჯები	111521	389,556

6. ძირითადი საშუალებები

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს
ოფისის აღჭურვილობა	7,586	1,980	0	4,498	5,068
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6,687	0	0	2,060	4,627
სატრანსპორტო საშუალებები	32,114	0	0	11,744	20,370
სულ ძირითადი საშუალებები	46,387	0	0	18,302	30,064
არამატერიალური აქტივები	233	0	0	186	47
სულ აქტივები	46,620	0	0	18,488	30,111

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითად ი საშუალებ ის გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს
ლარი					
ოფისის აღჭურვილობა	5,068	0	0	2101	2967
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4,627	0	0	1342	3285
სატრანსპორტო საშუალებები	20,370	0	0	8061	12309
სულ ძირითადი საშუალებები	30,064	0	0	11504	18561
არამატერიალური საქ ტივები	47	0	0	47	0
სულ აქტივები	30,111	0	0	11551	18561

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2024 წ.	2023წ.
სავაჭრო მოთხოვნები	1,180,009	1,290,743
გადახდილი ავანსები		0
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,180,009	1,290,743

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წ.	2023 წ.
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	915,391	902,245
მიღებული ავანსები	0	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	915,391	902,245

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 1 იანვრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არის სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე.

10. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ბაზისის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან საბაზისო კოდზე. შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ბარათზე არ ფიქსირდება დავალიანება.

11. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 48,008 ლარს.

(ბ) დივიდენდები

კაპიტალის მფლობელს (დამფუძნებელს) უფლება აქვს მიიღოს პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფასის თანახმად მოზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გაუნაწილებელი მოგების თანხამდე.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

12. მარაგები

ლარი	2024 წ.	2023 წ.
გასაყიდად განკუთვნილი პროდუქცია	26,426	31,056
სულ მარაგები	26,426	31,056

13. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2024 წ.	2023 წ.
კურსთა შორის სხვაობა	8255	14,186
საქონელზე ფასდაკლებით მიღებული ხარჯი	20463	14,186
სულ ფინანსური ხარჯი	28718	14,186

14. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2024 წ.	2023 წ.
კურსთა შორის სხვაობა	17800	10,427
მიღებული ფასდაკლება	24993	0
სულ ფინანსური შემოსავალი	35420	10,427

15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან: კომპანიის მოთხოვნები, შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები.

მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

(გ) უცხოური ვალუტის რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები.

16. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2024 წელი	2023 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	155,410	304,606

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის „საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით“, ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ ფარმაცევტული საქონლის რეალიზაციის საფუძველზე. ამონაგების ფორმირება ხდება გაყიდული/უკან დაბრუნებული პროდუქციის მიხედვით ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

(დ) ძირითადისაშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

